ომამავლის მანგა

ილუსტრირებული ჟურნალი № 2

9 იანვარი. 1911 წ. ფასი 10 კაპ.

ყოველ კვირეულიი გამოდგემა

1173

სვანის სიხარული.

სვანი, (ჩიყვით
შენამკობი)
მთისა შვილი,
მთად ნაშობი,
ბედის მომდურავი მარად,
მოდიოდა მთიდან ბარად.
უცებ ნახა
ქვეყნის მხსნელი!
(ხელთა ეპყრა
ბადე—ქსელი,)
სდევდა მინდვრათ
ბუზ-პეპელებს,
მოფარფატე
გულმკერდს ჭრელებს.
ჩაეცინა
იმ სვანს გულში,
ამ სურათის
შემხედვარეს.
სთქვა: „ცხადია
ბედი სწყალობს
გაჭირვებულ
სვანთა მხარეს.
თუ სტუმრებმა,
ძვირფასებმა,
ბუზ-პეპლები
დაგვიძვირეს,
და სვანები,
სანიმუშოდ,
ერთიც ალარ
დაიჭირეს,
თუ გვაკმარეს,
რაც იმ წლებში
ცრემლი ვღვარეთ
და ვიგლოვეთ,
თუ ახალი მოწყალება
ჩვენ მათგან ვერ
მოვიპოვეთ,
ჩვენისთანა ბედნიერი,
არ იქნება
მაშინ ერი!

დაკარგულ სატრფოს.

ვით ობოლი მარგალიტი,
შენ ჩემ ბილში ჩამოგარდი:
გაიფურჩქნე, აყვავილდი,
გახდი ჩემი ია-ვარდი,
დაგინახე... მომეწონე...
შეგიყვარე... შეგიყვარდი...
ვაჰ, რამდენათ ტკბილი იყავ,
ბოლოს იმ ზომ გამიმწარდი!

ტრფობის სიზმრათ ჩამიტარდა
ის პირველი შენი ნახვა;
ვერც ამბორი მოვასწარი,
ველარც პირჯვრის გამოსახვა,
მოფრინდი და მყის გაფრინდი,
გული მწარეთ გამემახვა,
სამარის ლოდს მიემსგავსა
ჩემი ფიქრი, ჩემი ზრახვა!..

სად გეძიო, აღარ ვიცი:
ხმელეთად, თუ ზღვაზე ნავით?
ისევ სოფლობ, თუ მომიკვდი
და მოვირთო ძაძა-შავით?
თუ ავსულად გადაიქეცი,
მთა-ბარზე ჰქრი ნიავსავით?
თუ შავ კლდეში გადჩეხე
უმადურმა თავის თავით?!

სულერთია... მაინც გიგლოვ,
ჩემთვის უდროთ დაკარგულო!
ფრთა შესხმულო, სასოებავ,
ახლა დაწვარ-დადაგულო!
სასიცოცხლო ია-ვარდო,
უდროო დროს დამარხულო!
სილამტვერში ჩანარებო,
სიყვარულის ნაკადულო!!.

ნ. ზიმლიანელი.

გაგებული ქალი.

— ნეტავ რისთვის დაიჭირეს, ქალო, მარინეს ბიჭი, დათოი?

— რისთვის და რედაქტორი იყო, „გლეხსა“ სცემდა.

— ოი, ხელი უურთხა ღმერთმა იმის დამჭირავებს. განა გლეხს ცემა სხვებისგან არ ეყოფოდა?!

ქართულ თეატრში.

— დღევანდელ წარმოდგენას ამჯობინებ ამ დრამისას, ბ-ნო ნიკო, თუ პირვანდელს?

— რასაკვირველია, პირვანდელს?

— მერე რა მოსაზრებით?

— იმ მოსაზრებით, რომ პირველს მე არ დავსწრებივარ.

დეპეშები.

ოზურგეთი. ბ-ნ ივანე ჯაყელს საუცხოო სიზმარი ესიზმრა: მან ნახა, თითქო კვალად იგი განაგებდა ოზურგეთის სატუსაღოს. გამოღვიძების შემდეგ გამოირკვა, რომ ის, ყოფილი უფროსი საპყრობილისა, თითონ ტუსაღათ მომწყვდეულა იმავ სატუსაღოში. როგორც ამბობენ, ბ-ნ ივანეს არ მოსწონს ეს ახალი თანამდებობა, მაგრამ ბევრი იმ აზრისაა, რომ ეს მასზე ზე გამოჭრილიაო.

სამტრედია. სადგურის უფროსმა „იუბილე“ გადაიხადა. ამბობენ, ეს იმ „ძველი ფულებით“ მოაწყო, რომელიც ამ წინა წლებში შეიძინა ვილაც „ჯულუბრყვილო“ გლეხებისაგანო. მრავალი „რეჩი“ წარმოითქვა და ბევრი მგრძნობიარე სიტყვა დაიხარჯა ქალებევრდომთაგან.

დიდი ჯიხაიში. დიდი ჯიხაიშის პატარა ქუჩაში ერთობ დიდი ამბავი დატრიალდა. მოულოდნელათ გაძარვეს და მარჯვენა ხელში დასჭრეს თფილისელი მუშა ანტონ ვაშაკიძე. გამოძიება სწარმოებს.

სამტრედია. „ნოვი სვეტის“ საზოგადოებას გამოუწერია სამასიოდე არღანი.

ქუთაისი. ადგილობრივ მოსწავლე ახალგაზრდათაგან ამ ორ დღეში არც არავინ მოუკლავთ, არც თითონ მოუკლავს თავი.

სოდმელი (რაჭა). აქაური სულიერი მამები ძლიერ დამწუხრებული არიან იმის გამო, რომ სოფლებში ძალიან გახშირებულია ავადმყოფობა და ხალხი ბლომათ იხოცება.

რევიზია

ახალი წელი ერთგულათ
იძიებს საქმეს თვისასა!
(ახალი ცოცხი კარგათ გვის,
ძველი მოატანს ქვიშასა!)
მყისვე, პირველი დღიდგანვე,
დაიწყო რევიზიები!
(განა ცოტა აქვს საბრალოს
საქმენი მოსაძიები?!)

რედაქციებში.

თფილისის რედაქციებსა
მიაპყრო უმალ თვალები
და გაიოცა, რა ნახა
ხალხი მუნ განაწვალები.
იკითხა: „კალმოსანებო,
რას ჰგევხართ შისაბრალები?“
გაეპასუხა „**სინათლე**“:
— ბატონო, გენაცვალები,
ძველნი სხვა გზაზე ვიდოდენ,
მე გზა მაქვს შენაცვალები,
„მე ვიხსნი საქართველოსა“
თუ არ დამაწვენ ვალები.„
„**სახალხომ**“ უთხრა:
— მე რა ვთქვა?
შემხედე? შეგეწყალები,
სათქმელი ბევრი რამა მაქვს
პირში არ მედგეს წყალები! *)
ცოცხლებში ტყვილათ გგონივარ
მისარიცხ-მისათვალები.
აზნაურული ვალი მაქვს
ძლივ-ძლივას ვეჩანჩალები.
„**ცხოვრება ხელოვნებამ**“ სთქვა:
— გავა მაქვს განარგვალები,
თორმეტი რედაქტორი მყავს
იაგუნდი და ლალები...
თორმეტი ძიძის ხელში ვარ
ამ რიგათ მინამხრჩვალები:
ლექსი ნაღეჭი, მოთხრობა
შინაარს განამკრთალები.
„**ეშმაკის მახემ**“ იყვირა:
— უშნოთ სტყუიან მხდალები,
ჩვენ უმეცარნი გვარჩობენ,
გვტანჯავენ ბნელი ძალები,
რეპრესიების ტაფაში
იხრუკვის ჩვენი ძვალები...
სახე მისთვი გვაქვს მიმკრთალი
და მიბნედილი თვალები.
ახალი წელი გაცვიფრდა.
სახე გაუკრთო სევდამ.
სთქვა: — „ნუთუ ეგრე გაგტანჯათ
საბრალო ჩემმა დედამ?
თქვენ კაცის სახე არ გაძევთ,
არც თვალი გიჭრისთ, არც ყური...
და ნუ თუ შრომა გგონიათ
მარტო ტაფაში ფაფხური?
მე ნებას გაძლევთ... გაიგეთ?,
მე ნებას გაძლევთ ყველასა,
დაუმალავათ იმსჯელოთ
ვინ რას თხოულობს შველასა:
გლეხი რა ტანჯვას განიცდის,
მუშა რა ხათაბელასა,
ქვრივი რად მოსთქვამს, ობოლი
რად ნატრობს კონკის ძველასა.
ბურთ მოედანი რად დარჩა
მარტოდენ ტურა-მელასა“.
საბრალო კალმოსანები!
ცრ-მლი მოადგა ყველასა
ფიქრობენ — „გვმართებს სიფრთხილე
უფრთხილდით კუდა-მელასა
პროვოკატორი იქნება,
შეგვამჰხვევს ხათაბელასა:
— ხმას რად არ იღებთ, მწერლებო?
რათ დაიმუნჯეთ ბაგენი?
თქვენა ხართ ქვეყნის მუშაკნი
და ხალხის მოამაგენი?!
შავს ველარ არჩევთ თეთრისგან,
ბოროტისაგან კეთილსა,
აზრებს ავრცელებთ ათასჯერ
დანაღეჭს გადაცვეთილსა...
საბრალო კალმოსანები!
მხოლოდ იტკბობენ სმენასა...
პროვოკატორი ჰგონიათ,
როგორ დასძრავენ ენასა?!

ეშმაკი.

*) ენა ქართული ეგრე ყავს
ამ გაზეთს განაწვალები!

მესტვირული.

ზურგი ვაქცივ ქვეყანას,
რა ვსცან„ის ოკმაკურია.
ავდექ, გავშორდი... იქ ყოფნა
ვსთქვი: — არ მსურს, აღარ მწყურია.
სიცრუის არის იგი ზღვა,
ცბიერთა ნავთსადგურია:
იქ ჰკუას კუჭი განაგებს
და ძმობას, მტრობა-შურია.
მას მიენდობის მხოლოდ ის,
ვ-ნც თავის უმადურია;
იმისი ავან“ ჩავანი
მხოლოდღა „ლუკმა პურია“,
და საიმისო ხრიკები
დღეს „ქვეყნის სამსახურია“,
ამ ქვეყნიური ალ-რსი,
ცრუ არი სანანურია, —
გადახურდავდა სინდისი,
არ სჭრის თვალი და ყურია,
ძმა მოძმის სისხლს სვამს უტიფრად...
რას გავს ეს, სადაურია!?
და უკუ ვიქეც ცხოვრებას,
ვითა ღორ-ს ხორცს ურია.
ვიდექ მარტოკა, ობოლი,
სიცოცხლე ჩანამწარები.
სულის ტკივილით ტანჯული
ვინ ნახეთ განახარები,
ან განგმირული ისარით,
ჩანჩალით გზა-წანარები.
სიცოცხლეს ვესალმებოდი,
სიკვდილის ვნახე კარები
და მზათ ვიყავი ტანჯული
ჩამომერეკა ზ-რგბი,
რომ ამ დრო-ს ყურსა მომესმა,
შორით ხმა სანეტარები:
„მესტვირევ, სტვირი აიღე,
ეს გაჩუმება კმარაო!
მომართე ძველი ქამანჩა,
შენ იცი მისი ხმარაო.
რა რომ ის აღარ დაგიკრავს,
კარგა დრომ გაიარაო,
და რაღას უცდი, ადექი,
გაბერე გუდა ჩქარაო!
უკუ ქცევიხარ ცხოვრებას,
რა სევდა შეგეყარაო?
მართალი არის: სოფელმა —
სიცოცხლე ჩაგამწარაო,
მაგრამ სად თქმულა სიმართლით
კაცმა ვლო გზა და შარაო
და მოიხვეჭა სიამე,
დასტკბა და გაიხარაო?
თავ აღებული ცხოვრების
კარებზე ვინც მიმდგარაო,
შენსავით უგემებია
მას ნაღველ-ხამ-ძირმწარაო,
მარა ის მაინც ცოცხლითა
არარად არ გამხდარაო,
თუმცა ცრემლები, ეგების,
მან შენზე მეტი ღვარაო.
ნუ დაივიწყებ, ვინც სტვირი
მოგცა და ჩაგაბარაო;
მან ორი წესი დაგიდო, —
ორივე თანაბარაო,
ერთი, — თუ სული გიდგია,
სანამ არ გაგეყარაო,
ე მაგ შენ სტვირს და ქამანჩას
არ უღალატო, არაო!
და ან მეორე — თუნდაცრომ
ხვიდოდე წვივ-დამწვარაო,
მშიერ-მწყურვალი, ტიტველი,
ღარიბი კარ და კარაო,
(კ-ცი მშიერი სჯობია,
ვიდრე კუჭ გამაძღარაო),
დეე უმეცართ გიწოდონ,
თუ გინდ რომ მეტიჩარაო,
არ შეუშინდე მუქარას
განვლე სიმართლის შარაო.
და, თუმც ამ ქვეყნად იქნები
შენ დატანჯული, მარაო
ჯილდოთ შენ ესეც გეყოფა, —
ცხოვრობ და არ იპარაო,
და როს მოკვდები მშიერი
ვითარცა ვიგინდარაო,
იტყვიან: ჩვენი ბლიკვაძე,
„ვაძღომით“ არ მომკვდარაო!

ა. ბლიკვაძე.

ბ. თაგუნას ახალი რომანი.

„ეშმაკის მახის“ შემდეგ № ში დაიწყება ბეჭდვა ბ. თაგუნას ახალ რომანისა. რომანის შინაარსი აღებულია საქართველოს ცხოვრებიდან და ეხება XXVI (ოცდამეექვსე) საუკუნეს.

ბ. თაგუნას ახალ ნაწარმოებს წინ უძღვესი გამოჩენილ კრიტიკოსის წინასიტყვაობა, რომელშიაც, სხვათა შორის, ცნობილ ჩინელი კრიტიკოსის ბ. ფან-ჯუ-სესი და ბუშმენთა შესანიშნავ მწერლის ბ. ჩავანდღუპუს აზრებიცაა გადმოცემული აღნიშნულ რომანის შესახებ.

ბ. თაგუნამ დიდი ხანია დაასრულა თავის ახალი რომანი, მაგრამ პირველათ უცხო ენებზე (ჩინურათ, ბუშმენურათ, გოტენტოტურათ და სხვ.) გამოაქვეყნა. ჩვენი საზოგადოება დიდის ცნობის მოყვარეობით მოელის გენიოსურ თხზულების სამშობლო ენაზე დაბეჭდვას და შურის თვალით უცქერის იმ განათლებულ ერებს, რომელთაც თაგუნას რომანის წაკითხვაში პირველობა არგუნა ბედმა...

ვინაიდან ბ. თაგუნას ახალი რომანი მთელს ხანას შექმნის ჩვენს ლიტერატურაში და ათას ცნობის-მოყვარე აზრს აოუძრავს მკითხველს ავტორის შესახებ, ჩვენმა გაზეთმა განიზრახა, რამდენადაც შესაძლოა, დააკმაყოფილოს ამ მხრით მკითხველი. ამ მიზნისათვის „ეშმაკის მახემ“ დაავალა ერთ თავის თანამშრომელთაგანს, გამოიყენოს ბ. თაგუნას ჩვენ გაზეთისადმი კეთილგანწყობილება და რედაქციის სახელით რამდენიმე ინტერვიუ გაუმართოს მას.

პირველი ინტერვიუ მოხდა კიდეც. აი, როგორ გადმოგვცემს მას ჩვენი თანამშრომელი:

„ საღამოს $4^1/_2$ საათი იქნებოდა, როცა ჩვენ ჩვენს განსწავლულ რომანისტთან შევედით. ბ. თაგუნამ თავის სამუშაო ოთახში მიგვიღო და მეტისმეტი თავაზიანობა გამოიჩინა მუსაიფის დროს.

— მე ძალიან მომწონს თქვენი ჟურნალი,— დაიწყო მან,—და ყოველსავე ღონეს ვიხმარ, ხელი შეუწყო მის წინმსვლელობას. ჯერ-ჯერობით დაკმაყოფილდით ჩემი ახალი რომანით, რომელიც პირველათ იბეჭდება ქართულათ, და შემდეგისთვის კიდევ სხვა იყოს...

— ნება მიბოძეთ, ბატონო, ორიოდე კითხვა მოგცეთ...

— მე მზათ ვარ დავაკმაყოფილო თქვენი ცნობის-მოყვარეობა,— გამაწყვეტინა დიდებულმა ბელეტრისტმა,— რადგან ვიცი, რომ ჩემს ნალაპარაკევს თქვენი გაზეთი სწორათ გადასცემს მკითხველს და სხვებივით არ დაამახინჯებს... მკითხეთ!

— თქვენ, რა თქმა უნდა, მოიგონებთ, რომ მიმდინარე 2725 წ ის დამდეგს საქართველოს პოლიტიკური ჰორიზონტი...

— მოითმინეთ,— კვლავ გამაწყვეტინა სიტყვა ბ თაგუნამ:— ამ თავითვე გიცხადებთ, რომ ამ ჟამათ მე სრულიად ჩამორჩენილი ვარ თანამედროვე ცხოვრებას და განსაკუთრებით კი პოლიტიკურ მოვლენებს, ვინაიდან მთელი ჩემი გონებრივი და სულიერი ყურადღება მიქცეულია საქართველოს წარსულისაკენ. მე ვიკვლევ მეოცე საუკუნის ნაშთებს და ამ შრომამ იმდენათ გამიტაცა, რომ გული ამიცრუა ყველაფერზე, თვით დღევანდელ პოლიტიკაზედაც კი...

— ბოდიშს ვითხოვ, ბატონო!.. ჩვენთვის და ჩვენი მკითხველებისათვის დიდათ საინტერესოა ყოველი თქვენი ნაბიჯი... ამიტომ ძალიან დაგვაბეზარებთ, თუ თქვენს ახალ შრომაზე გვეტყვით რასმე...

— სიამოვნებით... მაშ ყური დამიგდეთ და არ მოგწყინდეთ კი. ჩვენ, მეცნიერები, ძალიან ხშირათ, ჩვენდა უნებურათ, აბეზარები ვხდებით ხოლმე. ისე გაგვიტაცებს ლაპარაკის დროს საგანი, ზოგჯერ სრულიად სპეციალური ხასიათისა, რომ მსმენელი სულმთლად გვავიწყდება ხოლმე. ახლაც თუ ასე მოგვივიდეს, გთხოვთ ჩოხის კალთა ჩამომწიოთ და დროზე შემეჩეროთ! (იოხუნჯა ბ. თაგუნამ). ჰოდა, მაშ ასე: მე ვიკვლევ მეოცე საუკუნის საქართველოს; იმ დროს, როცა ჩვენი სასიქადულო განათლებული მამული რუსების ანუ სკვითების უღელ ქვეშ იმყოფებოდა. ჩემდა საბედნიეროთ, ერთმა გარემოებამ მეტის მეტათ გამიადვილა შრომა. სრულიად შემთხვევით, ჩვენი სატახტო ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის (ამ ნაწილს იმ დროს „ვერას“ ეძახდენ) ძველ ნანგრევებში აღმოვაჩინე მთელი საწყობი იმ დროინდელ ერთ შესანიშნავ ჟურნალისა. ჟურნალის ყველა ნომრებია შენახული, ათას-ათასზე მეტი ცალი თითო ნომრისა. როგორც სჩანს, აქ სცხოვრობდა ამ ჟურნალის რედაქტორთ-უხუცესი (ცამეტი რედაქტორის უფროსი) თავ. ნ. მ. ლორთქიფანიძე. ის გარემოება, რომ ჟურნალის ამდენი ცალი ინახებოდა აღნიშნულ ბინაზე, ამტკიცებს, თუ როგორ გავრცელებული ყოფილა ეს ჟურნალი. მართლაც, თუ თითო ნომრიდან 1500 ცალს იტოვებდენ შინ, რამდენი უნდა გაესაღებინათ

მკ-თხველებში? რა თქმა უნდა, არა ნაკლებ 30 40 ათასისა; ეს რიცხვი კი იმ დროისათვის ძალიან დიდი იყო. ამ პოპულიარულ გაზეთის სახელი გახლდა „ცხოვრება და ხელოვნება“. მე ძალიან ჩამაფიქრა იმ გარემოებამ, რომ შინაარსი ჟურნალისა სრულიად არ ეთანხმებოდა სახელს, რადგანაც არც ცხოვრებისა და არც ხელოვნებისა მასში არ იყო რა. დიდ საგონებელში ჩავარდი. „რას ნიშნავს ასეთი წინააღმდეგობ?“ ვფიქრობდი მე: „სად არის ახსნა ასეთი შეუფერებლობისა?“ რამდენიმე კვირის ფიქრის შემდეგ მე მივახწიე მიზანს და ყოველივე ავხსენი. საქმე ის არის, ბატონო ჩემო, რომ ცნებანი „ცხოვრება და ხელოვნება“ სულ სხვას ნიშნავდა მაშინ.

მე აღმოვაჩინე, რომ სიტყვა **ცხოვრება** წარმოსდგება სიტყვისაგან „ცხოვარი“, ცხვარი, სკვითური „баранъ“, ხოლო მეორე სიტყვა „ხელოვნება“ რთული გახლავთ და შესდგება ორი სიტყვისაგან: „ხელი“ (გახელებულ, გაცოფებული) და „ვნება“ (ზიანი ზარალი).

ამისდაგვარად ჩემ მიერ ნაპოვნ ჟურნალის სათაური „ცხოვრება და ხელოვნება“ თანამედროვე ენით ითქმება ასე: „ვნება ანუ ზიანი, რომელიც წარმოსდგება განხელებულ ანუ გაცოფებულ ცხოვართაგან“.

— რა არის ეს უცნაური სათაური? ეს ხომ თავის გაწკეპლვაა რედაქტორთა მხრით!

სრულიადაც არა! თუ ჩვენ დროში, „ცხვარი“ (სკვითური „баранъ“) სათაკილო სახელწოდებათ ითვლება ადამიანისათვის, „ცოფიანი ცხვარი“ კი კიდევ უფრო სათაკილოა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეოცე საუკუნეშიაც ასე ყოფილიყოს! პირიქით, ჩემმიერ ნაპოვნი ჟურნალის ყველა №№ აშკარათ ამტკიცებს, რომ ჩვენი დროის ცნებანი, გემოვნებანი, შეხედულობანი და სხვა უცხო იყო მაშინდელ ქართველთათვის, რომელთაც იმ დროს ყველაფერი **უკულმა** ესმოდათ.

ასე რომ ამ ჟურნალის რედაქტორთათვის ცხვარი სიბრძნის იდეალი ყოფილა, ხოლო ნ. ლორთქიფანიძის „საშობაო მინიატურები“ ხელოვნების შედევრი...

ამისდაგვარათ მეოცე საუკუნის ხანას მე სრულის უფლებით ვუწოდე **ხანა უკულმართობისა** და შევქმენი თეორია დიალექტიურ განვითარებისა რომლის მიხედვით ჩვენი გონებრივი და სულიერი ცხოვრება წინააღმდეგობათა და უკულმარობათა გზით ვითარდება...

უკაცრავათ, საგანს ავცდი და ლაპარაკიც გავაჭიანურე. თქვენი ბრალიცაა, ბატონო ჩემო! რატომ დროზე არ მომწერეთ ჩოხის კალთა?.. დიახ... იმას მოგახსენებდი... მაშასადამე თუ არ დავივიწყებთ იმ გარემოებას, რომ მეოცე საუკუნეში ყველაფერი უკულმა ესმოდათ, ადვილათ ავხსნით სათაურის —„ცხოვრება და ხელოვნება“—მნიშვნელობას.

სარგებლობა (და არა ზარალი), რომელიც **წარმოსდგება ბრძენ** (და არა ხელ) **ცხოვართაგან**.

გავათავე, ბატონო ჩემო, და თავიც შეგაწყინე, როგორც ვატყობ...

განცვიფრებით შევყურებდი ჩემს მობაასეს და არ ვიცოდი ვისთვის მიმეცა უპირატესობა: მეცნიერ-თაგუნასთვის თუ მხატვარ-თაგუნასთვის!

გამოვერკვიე და გამოვემშვიდობე...

არასოდეს არ დამივიწყდება ის წუთები რომელიც ჩვენ მხცოვან მეცნიერ-ბელეტრისტის სამუშაო ოთახში გავატარე“.

ასე ასწერს ჩვენი თანამშრომელი. თაგუნასთან ბაასს.

შემდეგ №-დან ვიწყებთ ჩვენი სასიქადულო მწერლის რომანის ბეჭდვას.

მთის ნიავს

მთის ნიავო, იდუმალ ხმით
მარქვი: ნეტავ, რას სისინებ?
მშობლიური მწარე მოთქმით,
ვის სტირი, ვის დაჰქვითინებ?
—ცხარე ომში დახოცილებს,
უანგარო ხალხის შვილებს!
— მერე იცნობ მათ სამარეს,
რომელ ლოდსაც მიაბარეს?
—როგორ არა... ბრძოლის ველზე,
რაის დაეცენ, მე იქ ვიყავ,
ვეხვეოდი დაჭრილ ყელზე
მსურდა მათზე დავმკვდარიყავ,
მაგრამ ამ დროს საიდანღაც
მესმა მღერა ობოლ გედის,
თურმე იგი კვნესა იყო,
მომაკვდავი მათი დედის...
მომძახოდა: „მთის ნიავო,
ჩამქრალია ჩვენთვის მზეო;
მშობელთ ნაცვლად სასაფლაო
გვერდი შენ დაიტირეო.“
და მას შემდეგ ანატირი,
დავქვითინებ გმირთ სამარეს;
ეს არს ჩემი სევდა-ჭირი,
ამას შევკვნეს არე-მარეს.

გ. ქუჩიშვილი.

სტუმრები.

(სოფლის ცხოვრებიდან).

აჩრდილს ჰგავს ჩვენი ფოგია,
ჩალრმავებია თვალები;
გულს უწვავს, სულსა უდაგავს
ჯოჯოხეთური ალები.
იყო დრო, როცა გოგიას
მზე უდგა,—დარი დაროზდა;
კარკ ოჯახს, კარგსა ცოლ-შვილ
გარს ეკლებოდა, ხარობდა.
მაგრამ იცვალა ცხოვრება,
(რა ვუთხრათ კაცთა სიავეს!!.)
სახლ-კარი ცეცხლმა წაიღო,
ცხოვრება გაუნიავეს...
ვინც ქადაგობდა ზნეობას,—
ღმერთი ეკერა პირზედა,
მან უფრო წყო ხარხარი
გოგიას გასაჭირზედა.
რა ექნა საწყალ გოგიას,
მტერს ხომ ვერ თხოვდა შველასა?!
თანამგრძნობი-კი ვინც ჰყავდა,—
მისი დღე ედგა ყველასა.
ძლივს მცირე ფაცხა მოღობა
სახლის მაგიერ ბინათა,
თან ბრაზი ახრჩობს, რომ გახდა
მტრებისგან დასაცინათა.
წინანდელ პირობებშია
ველარც საყანე აიღო;
რაც სთესა, მომკო ნაყოფი,
სულ მემამულემ წაიღო.
მის ნაშრომს ვიღაც სხვა სჭამდა..
მას ლუკმაც აღარ ებადა,
დამშეულ ცოლ-შვილს, საბრალო,
ბალახ-ბულახით ჰკვებავდა.
მაგრამ ამ გვარი საჭელით
გაუხდა ყველა ავათა...
(თუმცაღა, ბევრგან ხატებშიც
ატარა სალოცავათა)
გადატრიალდა ცხოვრება,
ველარაფერმა უშველა;
ოთხ შვილში, გარდა ერთისა,
ამოეხოცა სუყველა.
ერთი-ღა დარჩა და ესეც
ჰყავს მეტის-მეტად ავათა;
კერასთან უწევს ჭილობზე,
კრუსუნებს საცოდავათა.

ცოლიც ჭკუაზე შეშლილი
ცოდვით გულს უწვავს მნახველსა;
გაჭკივის, მწარეთ იგონებს
დაკარგულ შვილთა სახელსა.
ამ შავ ღლის მომსწრე გოგია
თავ-პირში იცემს მწარეთა;
თანაც სდარაჯობს დაბმულ ცოლს,
რომ არ გაექცეს გარეთა.

—

და აი კარი იღება,—
იღება ჯახან-ჭრიალით,
ხარკის ამკრებნი ქოხმ ხში
შემოვლენ ყვირილ ღრიალით:
„დრამის ფულს რისთვის არ გვაძლევთ?!
შეგარჩენთ, თუ რა გგონიათ?
აქ თქვენ რაღაცას თვალთმაქცობთ...
სიგიჟეც მოგიგონიათ!..
ჩვენ მოტყუებას ნუ ფიქრობთ,
შესცდები გლეხო, მწარეთა!!
აბა, ბიჭებო, რაც ნახოთ,
გამოიტანეთეთ გარეთა!!“
შეუდგენ კვლევას... მაგრამა
გოგიას რაც არ ებადა,
ან ფულათ რადა წაეღოთ,
ან „ტორგში“ ჩასაგდებადა!!.
„ე ბარგი მაინც სად გაჰქრა?!“
ფიქრობდენ—ვერ კი გაეგოთ,
(თურმე ის „სტუმრებს გუშინდელთ“
აკი წინ დღითვე წაეღოთ!!).
ხელ-ცარიელი ვერ წავლენ,
ჯერ არ სჩვევიან ამასა,
ვერ წაუქცევენ მღვდელს სიტყვას,
როგორც სულიერ მამასა.
დრამის ფულს ჰკრებენ და საქმეს
გულ-გრილათ რათ დასტოვებენ,
მაშინ მღვდლის ლოცვა კურთხევას
ხომ ველარ მოიპოებენ?.
რაც ფიქრათ სხვას არ მოუვა,
ის ფანატიკებს აწუხებს:
ხელ-ცარიელი თუ წავლენ,—
ღმერთს მაშინ ვინ უპასუხებს!!.
მაგრამ იკურთხოს გონება
შორს მჭვრეტი, თვალ გამჭრიახი!!
ეცენ საბუდარს და ძიგ კრუხს
დააწყებ ნეა კრიახი!!
აქ გობს მიაგნეს, იქ ძონძებს
ხელი ჰყვეს, აწეწ-დაწეწეს...

ბოლოს კერიის ძირასა
ძველ ჭილობს თვალი აცეცეს.
წამოჰკრეს ხელი და... რაღაც
კვნესა-კრუსუნი შეიქნა,
(ბავშვს რომ ძირს მოსძვრა ბრაგვანი,
ეს თითქოს ვერვინ შენიშნა?!).
გარეთ გავიდენ, გასწიეს
ამა ნადავლით მცირითა;
თანაც გოგიას ლანძღავენ
მწარეთ—უშვერი პირითა.

—

გოგიას ცოლი შეშლილი
ისევ მიიწევს გარეთა,
ბავშვი ძირს გდია, კრუსუნებს,
გოგია მოსთქვამს მწარეთა...

ფონ-ცეფო.

ჩვეულებრივი სანახაობა თფილისის „სობრანიეში“

ოხერი „სკუკით“ განაწვალები,
ქართველ-სომეხთა
ტურფა ქალები,
როგორც ცქრიალა მზე გოგონები,
აგრეთვე კუტი
ქალბატონები.
ლოტოს თამაშით განვლიან ღამეს
მითი მოჰგვრიან
გულსა სიამეს.
გაიძახნიან: „სემ“ „ტრიცი დუა“,
არც თვალი უჭრისთ,
აღარც თუ ჰკუა.
ბოლოს მოიგებს ერთი მათგანი;
სხვებს აუტყდება
გულის ქაქანი:
ასტყდება ჩხუბი „მოდეთა“ *) შორის:
გასჭირდეს ნახვა
ამათი სწორის!
თმანი ბურტყლივით იწეწებიან,
ჩალისა ჭუდზე
ფეხით სდგებიან.
აღარ ზოგავენ კაბებს, ლეჩაქებს...
არც მანდილოსნებს
ფეხქვეშ განაგებს...
ასე თავდება ეს გასართობი
გულს „სკუკა“ სტოვებს
სულს ტანჯვის ობი.

*) როცა კაცები ჩხუბობენ მაშინ იტყვიან: ჩხუბი «მოძმეთა» შორის სწარმოებსო, ხოლო როცა ქალები იბრძვიან, ალბათ „მოდეთა“ შორის უნდა ითქვას.

1911 წლის პირველი იანვრიდან იწყებს არსებობას ახალი ეოველ-კვირეული
იუმორისტული ჟურნალი

„ეშმაკის მახე“

„არსებობის დაწყება“ არც ისე ძნელი საქმეა. ჩვენში ბევრი, ძლიერ ბევრი ჟურნალ-გაზეთობა იწყებს ხოლმე არსებობას, მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ ჩვენი ცხოვრების უკუღმართობა უმალვე უსპობს მათ სიცოცხლეს: ზოგს ბუნებრივის და ზოგსაც ხელოვნური სიკვდილით. კვდება ის, ვინც ტირის; კვდება ის, ვინც იცინის! „ეშმაკის მახეს“ სრულიად არ ენატრება სიკვდილი, მაგრამ თუ მას მაინც უწერია ახლო აღსასრული, ის ამჯობინებს სიცილში მოკვდეს; ტირილით კი მას მისი ჭირისუფალნი დაიტირებენ. თქვენ იქნება იკითხოთ, ვინ არიან ეს ჭირისუფალნი:

1) პირ მომცინარეთ მზერალნი, თუმც ჭირ-ვარამის მწერალნი:

აკაკი (ჭადარა წელთა მსვლელობით, ნაქები ენა მჯრელობით). **ბენუკა** (მესტვირე მხნე და ეული: გვიან გვიან სწერს წეული). **ბლიკვაძე** (ცნობილი იგავ-არაკით და სტვირის ტკბილი რაკრაკით). **ეშმაკი** (მატდური, მოუსვენარი, დაუნდობელი მკბენარი). **თაგუნა** (მეცნიერებით ცნობილი, ჭრიზაში გამოწრთობილი). **კენტი** (ბათუმის დარჯ-მზვერავი, მოხსენებათა მწერავი). **ონისიმე** (მემატიანე ოდიშის, არ უყვარს მოხდა ბოდიშის). **პიტნა** (მწერალი „გურულ სტენისა, ჰატრონი მახვად ენისა). **ფონ-ტეფო**)მგესლავი ნაკურთხ მამთა:ის არ ასვენებს ამთა). **შხანკოლა** (კვიმატი, ენა-ფხიანი, ხუდიკანთ მისცეს ზიანი)

2) ჭაბუკნი, ნოჩრნი მგოსანნი, ტკბილ-ხმოვან ლირიკოსანნი:

ნ. ზომლეთელი, თურდოსპირელი, იასამანი, ლეჩხუმელი. მალაქიაშვილი, რუხაძე, ქუჩიშვილი.

აი ჭირისუფალნი „ეშმაკის მახისა“! ამიტომაც ჯერ ეშინია მას სიკვდილის სახისა. სიცოცხლეში იგი არ დაინდობს არავის; ცოდვა მიუძღვის რამე ვის:

არ დაინდობს:
არც ერს, არც ბერს,
არც ჭკუიანს,
არც ბრიყვს, არც შტერს,
არ დაინდობს
არც კაცს, არც ქალს,
ვინც გაურბის
სიტყვას მართალს,
არ დაინდობს

ღარიბს, მდიდარს,
ცბიერება ვისიც დიდ არს,
არ დაინდობს
არც მეცნიერს,
არცა მაძღარს,
არცა მშიერს,
არ დაინდობს
დიდს, პატარას,
მატრაკვეცას,

მეტიჩარას,
არ დაინდობს
არც გარეულს,
არც შინაურს
გადარეულს,
ქედს არ მოხრის
გაბედული,
ვიდრე პირში
უდგას სული...

და თუ სიკვდილი აუცილებელი იქნება, ისეთ ქელეხს გაუმართავს თავისს მკითხველებს, რომ ზოგიერთ ქორწილსაც გადააჭარბოს.

ვიდრე ცოცხალია, „ეშმაკის მახე“ ეცდება **გააუმჯობესოს** თავისი ფურცლები, როგორც **მხატვრობის**, აგრეთვე შინაარსის მხრითაც. ახლო მომავალში ის **ელის სურათებს**, რომლებიც მეტ მიმზიდველობას მისცემენ მას. „ეშმაკის მახე“ ამთავითვე აცხადებს, რომ **მას არავითარი კავშირი არა აქვს სხვა და სხვა „იუმორისტულ ქუჩურ ალმანახებთან,** „რადგან მას არ მოსწონს, როცა ბეჭდვითი სიტყვას ქუჩის მაწანწალათ ხდიან.

ხელის მოწერა „ეშმაკის მახეზე“ ყოველთვის შეიძლება ჯ იმდენი ვადით, რამდენი ვისაც სურს. წლიურათ ღირს 5 მან., ნახევარი წლით 2 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 50 კ. ერთი თვით 50 კ.

შემთხვევითი კორესპონდენტები წერილებს ამ ადრესით გამოგზავნიან: Тифлисъ, Грибоѣдовская, № 34. Типографія Е. Кереселидзе, для „Эшмакисъ Махе“.

ფულიანი წერილი კი უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Габаевскіи пер. Типографія „Цховреба“ **Аслану Каландадзе.**

ჩვენებური ტიპი.

(ვუძღვნი ქართველ ბელეტრისტებს)

ის აგერ ასი წლის იქნება, მაგრამ სიკვდილზე ოდნავაც არა ფიქრობს! წელიწადი არ არის რაც მეორე ცოლი მოიყვანა.

„აბა რა მოჰკლავს, მის სიცოცხლეში ჯაფა არ იცის, ავაჭრებს ნოქრებს, აძარცვინებს ხალხს და ჰყრის უხვს მონაგარს უძირო სტომაქში“ იტყვიან ხოლმე მაზედ მუშები. მაგრამ არ არის ეს სავსებით მართალი. მართალია ბევრსა ძარცვავს და მუცელი გაუმაძღარი აქვს, მაგრამ შიგ კი ბევრს არას ჰყრის, უკეთ ვსთქვათ, ფასიანს არას ჰყრის. დიდი და პატარა ყველა იცნობს ჭიათურაში აღა გიორგის. ზორბა, მოყვანილ ტანი, შავი, ძველი ჩოხა ახალუხით, დაკერებული სალდათის ჩექმებით და პირველი ქორწინების დროს ნაყიდი ბუხრის ქუდით აქვს მარად ჟამს შემოსილი. ძალზე გადმოკაკლული სისხლიანი თვალები სვავის გამომეტყველებით, წალდის ნიკურტივით ჩამოშვებული პრტყელი ცხვირი, ლოთივით დასიებული წითელი ლოყები—ყველაფერი ეს ერთად აშკარათ ხატავენ აღა გიორგის სიხარბე-სიძუნწეს.

ჯოხით ხელში, დილიდან საღამომდე დადის მაღაზიიდან მაღაზიამდე, უთვალთვალებს ნოქრებს, მუშებს, მსახურებს, ხომ არას ლაპარაკობენ, ხომ არაფერსა სჭამენო, მიდის ერთ შენობაში, მიდის მეორეში, მიდის მესამეში, მეოთხეში და ბოლოს მიაღწევს იქ, სადაც თითონ ცხოვრობს. მერე არ იკითხავთ სად შეუყრია მას ცოლ-შვილი? ისეთ ბნელსა, ისეთ ნოტიოს და ისეთ ჭუჭყიან ბინას სპარსეთის სატუსაღოებშიაც ვერ შეხვდები, იოაკიმე მეფის დროს აუგია მას ჭიათურაში სახლი მას შემდეგ ახალი ჭიათურა აშენდა, მისი სახლების გარეშემო ძვირფასი შენობები დაიდგა; იმანაც აქა თუ იქ დიდებული სახლები ააგო, სადაც აუარებელი ქირა შემოდის, მაგრამ ეს საკუთარი ბინა არამც თუ არ განაახლა, არამედ არც შეაკეთა. ჩატყდება სადმე იატაკი, აჭედს ზედ მაღაზიიდან გამოტანილ ყუთის ნამტვრევს, ჩამოვა სადმე სახურავში წყალი, ურჭობს იქაც ამნაირსავე ფიცარს და ასე სახლი გადახურულია კრამიტითაც, ყავრითაც, ფიცრითაც და გატეხილ სანავთედან გამოჭრილი ჟეშტებითაც. იოაკიმე მეფის დროს ეს სახლი იქნებ მიწის ზემოთაც იდგა, მაგრამ ახლა ორივე სართული მიწაშია დამალული.

აღა გიორგის მუდმივ საზრდოს, ორივე წყება ცოლ-შვილისათვის, შეადგენს მჭადი და ლობიო, (რაიც ბლომათ შემოუდის დაგირავებულ გლეხების ყანებიდან), და თუ ხანდისხან ხორცეულსაც იგემებენ, უსათუოთ თავ-ფეხს, ან შიგნეულს (წელებსა და ფაშვს ძროხისას). სამაგიეროთ ძალიან უყვარს აღა გიორგის დღესასწაულებზე ხარჯი და სამზადისი. განსაკუთრებით ახალ წელიწადს, როცა ისე ხელუხვობს, რომ ჩაისაც კი მოამზადებს და იმასაც (ჰოი საკვირველებავ!) შაქარ ჩაყრილს!

ყველაფერზე მეტათ, აღა გიორგის, ავადმყოფობა სძულს. უკეთ ვსთქვათ, იმას სძულს მნახველები, რომელიც უზომო ხარჯს აყენებენ ოჯახს, ვიდრე თვით ავათმყოფობა. როდესაც მას ვინმე ავათ გაუხდება, ისე უნდა ეგდოს საცოდავათ მიწურ სახლში, უექიმოთ და უწამლოთ, სანამ ღარიბი მეზობლები, ან ვინმე აღას სახლებში მდგმური მოსამსახურე არ შეწუხდება და არ მოუყვანს ექიმს თავის ხარჯით. ხშირად თვითონ ფერშლებიც შედიან აღა გიორგის ავადმყოფის მდგომარეობაში და საქველმოქმედოთ უწყობენ ხელს. დღესაც მას სახლში უწევს მძიმე ავადმყოფი, საცოდავი ახალგაზდა ქალი. თავპარ დასივებული წევს იგი ბნელსა და აყროლებულ ოთახში სრულიათ უმწეო და უნუგეშო. აღა გიორგის მხოლოდ ის აწუხებს, რომ მიცვალებულს საზოგადოთ დაკრძალვა სჭირია. ის ახლაც ასე ამბობს: „ეჰ, ბაბუა, რა უბედურება იქნება რომ მართლა მოკვდეს! ათი თუმანიც კი ვერ ჩაიტანს ახლა მაგას იქა“. (მისი ავადმყოფი სხვა სოფლელია).

აი ახლა უნდა ვინანოთ, რომ „ძუნწის“ ავტორი ცოცხალი აღარ გვყავს და არ იცნობს ჭიათურელ გიორგი აღას!

ეშმაკის სტუმარი.

ჰეინედან

(თავისუფალი თარგმანი)

ჩემს ფართე მკერდზე მოგიყრდნია შენ,
ჩემო სულისდგმავ, კეკლუცი თავი:
დე, შენთვის ვიყო მშობელი ზეცა,
ჩემთვის იქნები ცისა ვარსკვლავი.

დახედე ქვევით, სადღაცა შორეს,
ხალხი უვიცი ეძლევა მტრობას,
სჭამენ ერთმანეთს, ილანძღებიან,
აბათილებენ ერთობას, ძმობა,

დაწანწალებენ წალმა უკულმა,
მარად, ეძებენ არ იციან რას,
იღვრება სისხლი ვითა მდინარე,
ბოლო არ უჩანს ამა სისხლის ღვარს.
ჩვენ კი მვირფასო, ბედნიერი ვართ
აბა მითხარი ჩვენ ბედს რა წაგავს?
შენ თუ მიკვრიხარ შენ შობელ ზეცას,
მე გულში ვიკრავ ჩემ შობილ ვარსკლავს.

ჯ. ოლია

საუკუნო ძალაძი.

(გაგრძელება)

აჩქარებით გავეშურე ისევ ბულვარისაკენ, მაგრამ სხვა ქუჩით შემოვუარე.

— ვინ იცის, - ვფიქრობდი მე:—სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. იქნებ ის კაცი, ეგერ რომ მოდის, ჩემ საზვერავათ არის გამოგზავნილი!..

მოგონებამ გამიტაცა. ყოველი სახლი, თითოეული კენჭი ქვა-ფენილისა ნაცნობი იყო და ათას გვარ საგანს მაგონებდა. წარსული ისეთნაირათ გაახლდა, ერთი მოგონება ისე გადაება მეორეს, რომ ყველაფერი დამავიწყა და გული ამიჩქროლა.

— აი, აქ, ამ სახლის ფანჯრებში მუდამ, დილიდან საღამომდე, იცქირებოდა სამი წყვილი თვალი ახალგაზდა ქალებისა... დავუპირდაპირდებოდი თუ არა ამ ფანჯარას, ნაბიჯს ვუკლებდი, რადგანაც ვიცოდი, რომ სამივე ქალი ეშმაკურათ გამიღიმებდა და შავს, ანთებულ თვალებს გამოგამაყოლებდა.

ინსტიქტიურათ ვუკელი ნაბიჯს და წინანდებურის გულისფანცქალით ავიხედე ზევით.

სწორეთ იმავე ფანჯრებში იცქირებოდენ სწორეთ იგივე თავები, იმნაირათვე დავარცხნილი თმებით და იმნაირივე ცუღლუტის ღიმილით.

— ღმერთო ჩემო! ეს რა ამბავია? ნუ თუ ავათა ვარ და გალლუცინაცია მომდის!

ნაბიჯს ვუმატე; საშიში აზრი გალუცინაციის შესახებ გავდენე და კვლავ მოგონებას მივეცი თავი: მეტათ ტკბილათ გამოკრთიდა წარსული განვლილ წელთა გადაღმიდან.

— ამ პატარა ეზოში, მარცხნით, ბავშობისას მე მყავდა ერთი გულითადი მეგობარი,—ფორფილე მზარეული, რომელიც ყველა მასწავლებელს მერჩია და რომელსაც თვით დირექტორსა და ინსპექტორზე მეტი ავტორიტეტი ჰქონდა ჩემს თვალში. სად არის ნეტა ახლა ჩემი პორფილე?

— პორფილე! ბიჭო!

მომესმა ეზოდან ქალის ნაცნობი ხმა და ჩემ თვალ წინ გაირბინა ჩემმა პორფილემ თავის ჭუჭყიანი ახალუხით, გაწითლებული ცხვირით და გადაგრეხილი ულვაშებით.

— ჩვენთან არს ღმერთი! წმინდა გიორგი, და მიცევი! ჭეშმარიტათ, ჭკუაზე ვცდები!

თვალებზე ხელი მივიფარე და თითქმის სირბილით დავეშვი ქვევით. არ ვიცი, რამდენ ხანს მივრბოდი ასე... რაღაც უცნაური ხმაურობა მომესმა, თვალები დავაჭყიტე და ყურები ავცქვიტე. რა უნდა იყოს ეს ნელი, განუწყვეტელი ღმუილის მსგავსი ხმაურობა?

რაც უფრო უახლოვდებოდი ბულვარს, მით უფრო მატულობდა ეს ხმაურობა. სრულიად დამავიწყა წელანდელი შიშის ზარი და ცნობის მოყვარულობამ შემიპყრო.

ბულვარისკენ ბლომათ მიეშურებოდა ხალხი. იქიდან მომავალი კი არც ერთი მგზავრი არა სჩანდა.

— სად მიეშურებით? შევეკითხე ერთ გამვლელთაგან: რა არის ეს უცნაური ხმაურობა?

გამვლელმა შემომხედა: სახეზე ტანჯვა აღბეჭდოდა, ის იყო უნდოდა პასუხი გამეცა ჩემთვის, მაგრამ უცებ ხმაურობა გაძლიერდა გამვლელმაც ერთი საზარლათ დაიღმუილა, თითქოს საშინელმა ტკივილებმა დაუარა ტანშია, ზურგი შემოქცია და მოჰკურცხლა.

ოაგუნა.

(დასასრული იქნება.)

უსტარი ბელზებელს.

ზუგდიდს გიახელ მე ამ კვირასა...
ქალაქი არის ერთობ პატარა
და მეეტლემაც ნახევარ საათს
ყველა ქუჩები ჩამომატარა.
მოგეხსენება, ეშმაკეული
რომ არის მეტად ცნობის მოყვარე:
უნდა იცოდეს, ყოველს ქალაქში
ვინ ჰყავს მას მტერი და ვინ-მოყვარე!
მრავალ არიან ყველგან მოყვრები,
ანუ გვამები საჯოჯოხეთო.
თუნდ საყელოში წაავლე ხელი
პირველს ქუჩაში რომ შეეფეთო
და ჰკითხე: ღმერთს, თუ ეშმაკს მსახურებს!
და არ იფიქრო,-ეკერძოს ღმერთსა,
მაშინვე ეშმაკს მოიხსენიებს..,
(„სამღვთოს“ ვერ ნახამ ათასშიც-ერთსა!..)

თუნდაც მაღალის სწავლით და ცოდნით
ის იყოს უხვად დანატვირთავი.
არ შეცდე ღვთისად არც ის ჩასთვალო,
ეშმაკს ეკუთვნის იმისი თავი!

ჰა, მაგალითი: ვისზეც მსურს წერა.
„პატარაია დოხტური“ ქვია,
და რათ დავმალო, რაც ამ ექიმზე
მე მეეტლისგან იქ შემიტყვია?

„ვერსზე ორ მანეთ ნაკლებს არ იღებს,
მდიდარზე-„სკიდკა“, ღარიბს-„დავესკა“,
მითხრა მეეტლემ... მეც ეშმაკურად
გულში ვუკურთხე ექიმს „ვივესკა“,

რომ ღარიბისგან, მდიდრისთვის ნათმობს,
ის ოსტატურად შეივსებს, „პრაგონს“...
ოჰ, ბელზებელო, ვიცი, ულვაშში
ჩაგეცინება შენ, ამის გამგონს!..

იცინე, ძმაო, რამდენიც გსურდეს!..
მე კვლავ მეეტლეს დავუგდებ ყურსა.
მეეტლეც ამბობს (გახსოვდეს, რომ ის
მე მუქთად მიწევს ამ სამსახურსა):

„დიახ!.. ავათმყოფს გასინჯავს ერთსა,
ვისთვისაც არის დანაბარები,
დაუწერს რეცეპტს და იმავ წამსვე
უნდა მიართვან ხვედრი ფარები.

ხშირად მეორე იქ აკადმყოფი,
მესამეც... მოჰყავთ, გასასინჯავი,
მაგრამ ექიმი მიხედავს იმათ?
შენც არ მოგიკვდეს ექიმის თავი!..

თუ რომ პრაგონი, „პირველის“ დონი,
მათაც გაიღეს ცალცალკე, თითომ,
მაშინ ექიმის გულიც მოლბება!..
მერმე აქ ცუდი რა არის ვითომ?!“

მხრების აწევით მკითხა მეეტლემ,
მაგრამ მე მყისვე უჩინარ გავხდი
და მეეტლესთვის გასამრჯელოც კი
არ მიმიცია, ძმავ, ისე წავხდი!..

ონისიმე.

საახალწლო ანდაზა.

ახალი წელი რითია
ძველისგან განსასხვავები?
ცეს, იგივ შავი ღრუბელი,
ქვეყანას, ყორან-სვავები,
ტირილი, ოხვრა, ვაება,
კვლავ ისე გაუთავები.

რედაქტორი „ძაღლისუბნის ცხოვრებისა“

(თარგმანი)

ქალაქ ძაღლისუბნის უდაბურ ქუჩაზე ვიღაცა წყნარათ მიაბიჯებდა. მოსახვევში მას ორი მგზავრი შემოეყარა.

ერთმა მათგანმა შეხედა გამვლელს და იკითხა:

— რა მიმზიდველი, რა მშვენიერი სახე აქვს ამ კაცს! ნეტავ ვინ არის იგი?

— ის რედაქტორია ჩვენ „ძაღლისუბნის ცხოვრებისა.“

— აჰაა! აი ვინ ბრძანებულა ეგ ჯოჯო. ერთი დაზილოს კაცმა ლაზათიანად, აი მადლიანი საქმე ეს იქნება. ბედათ ქუჩაც ცარიელია.

— რისთვის?

— როგორ თუ რისთვის, გუშინ თავის გაზეთში ჩემი სიმამრი, ბაზრის მამასახლისი ავათ მოიხსენია. ეჰ, ხელის გასვრა მეზარება, თორემ!!.?..

სიძე ბაზრის მამასახლისისა მობრუნდა და მიაძახა მიმავალ რედაქტორს:

— ეი, შენ, ჯოჯო! როდისმე კი შემხვდები მარტო ბნელს ქუჩაში, მე ვიცი შენი პატივი... ტყავს გაგაძრობ, ტყავს!...

რედაქტორი შეჩერდა, მოისმინა ეს დაპირება და მაშინვე დაავიწყდა. მას ასეთი დაპირებისათვის არ ეცალა, რედაქციისაკენ მიეშურებოდა.

*
* *

სარედაქციო ოთახში რედაქციის მდივანი იჯდა და რაღაცას თითებზე ანგარიშობდა. რედაქტორს გულგრილათ მიესალმა და გესლიანად ჩაიცინა.

— გმადლობთ, ძვირფასო! სწორეთ დიდათ დამავალეთ.

— ეს რაღა ამბავია?

— მაშ ვინ შეგეხვეწათ ჩემი წერილიდან, „მოკენჭული გზების შესახებ“, მეორე ნახევრის გამოტოვება?

— საშიში იყო, მეგობარო. თქვენ იქ ლამის პრისტავზედაც ჩამოაგდოთ სიტყვა.

მდივანი წამოდგა და აუჩქარებლივ დაიწყო:

— წყეულიმც იყავით თქვენ ყველანი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, თქვენი სილაჩრით, ანგარიშიანობით, თქვენი უაზრობით, ბოქაულებით, მოკენჭული გზებით, მთელის თქვენი სიყალბისა და სიცრუის არსენალებით. გონიერი ადამიანი არასოდეს არ გამოსტოვებდა იმ ნახევარს ჩემი წერილისას, „მოკენჭული გზების შესახებ“.

— ნუთუ დაგავიწყდა, მეგობარო, რომ ამ წინაზე უფრო უმნიშვნელო წერილისათვის დაგვაჯარიმეს სამასი მანეთით?

ტახტზე მიგდებული მდივანი ყურებზე ხელს იფარებდა და საზარლათ გაიძახოდა.

— წყეულიმც იყავით, წყეულიმც იყავით თქვენი...

*
* *

ნაშუადღევის სამ საათზე რედაქციაში უცნობი კაცი შემოვიდა. იმან რედაქტორი იკითხა, შეიჭრა მის ოთახში, დაახეთქა სტოლზე რაღაცა შეკრული და დაიღრიალა:

— აჰა, მიიღეთ! დამიბრუნეთ ეხლავე ჩემი ფულები.

— რა ამბავია, ბატონო ჩემო?

— აი, თქვენი სულელური გაზეთები, „ძალლისუბანის ცხოვრება“ მიიღეთ, მთელი წლისაა და ჩემი ფულები უკანვე დამიბრუნეთ.

— მიღებული არ არის, ხელის-მომწერლებს ფული უკან დავუბრუნოთ.

— კარგია სწორეთ!—დაიღრიალა სტუმარმა. ფულის დაბრუნება მიღებული არ არის, ხოლო სისულელით მკითხველის გამოლაყება-კი მიღებულია. ცოცხალი, საყურადღებო ამბების წერა მიღებული არაა, და წერა „სპილოს გონიერების შესახებ“ კი მიღებულია? ჩვენი პროვინციის შავბნელი ცხოვრების გაშუქება მიღებული არაა, ათასგვარ ბოროტ-მოქმედებათა გამოაშკარავება მიღებული არაა, ხოლო „უბრალო საშვილლებაწებოს მოსადღეგლათ“ კი მიღებულია? „რამდენი ბაცილა ეტევა ერთ წვეთ წყალში“, ხომ ესეც მიღებულია? „ცნობები ხივის დამორჩილების შესახებ“ ხომ რასაკვირველია, მიღებული გაქვთ? დაიბრუნეთ ეს თქვენი ქარაფშუტა ფურცელი და ჩემი ფული დამიბრუნეთ. აქ მხოლოდ ორი ნომერი აკლია, ქალმა მურაბის ქილას მოახვია თავზე, ჯანი გავარდეს გამომიქვითეთ ორი შაური. დანარჩენი მოიტეთ. გესმისთ? ფეხებზე მკიდია მე ის, თუ რამდენი სპილო ეტევა ერთ წვეთ წყალში, გესმისთ? ფულები გადმოაწყვეთ, ფულები.

*
* *

რედაქციიდან, რედაქტორი „ძალლისუბანის ცხოვრებისა“ შინ დაბრუნდა სადილისათვის.

— მობრძანდი? შეეკითხა მეუღლე. სადილი მოგეხალისათ უეჭველია. აი ხეთქე ეს მოხარშული კარტოფილი! მეტი არაფერი არა გვაქვს!!

— ნუთუ? განა სულ დაიხარჯა ფულები? საწყლათ წაიდუდუნა რედაქტორმა.

— შეხედეთ ერთი ამ ბავშს! ნამდვილი ინსტიტუტკა ბრძანდება. ნუ თუ სულ დაიხარჯა?“ გასულ კვირეს სამასი მანეთი ჯარიმა გადავიხადეთ „ლოთი გოროდოვოის“ მოთავსებისათვის; 14 ამ თვეს კიდევ ორასი „ყვითელი ზღვის ნაპირზე გამაგრების“ დაბეჭდისათვის. გამაგრდი ხომ? დაგავიწყდა? შენთვის ცოლი კი არ არის საჭირო, ციხეში ბორშს უნდა ქანქავდე. შეხედეთ ერთი! ახალი რობესპიერი გამოიჩეკა!.. ბულანჟე, „ალლონ ზანფან“.

*
* *

რედაქტორი გამოძღა კარტოფილით, ჩაიდო ჯიბეში სუფთა ცხვირსახოცი და გამოვიდა სახლიდან.

— რა გნებავთ? ჰკითხეს მას ერთი სახლის კარებთან.

— მათი მაღალკეთილშობილების, ბ ნი გუბერნატორის ნახვა შეიძლება? დღეს დაბარებული ვყევარ.

წავიდენ. გაიგეს. გამოირკვა, რომ ნახვა შეიძლება.

— აჰა, ეს თქვენა ხართ! —იკითხა გუბერნატორმა.—მე დაგიბარეთ, რომ გამეფრთხილებინეთ. თქვენ სახიფათო საქმესა თამაშობთ. ხომ იცით რაზე გელაპარაკებით? მაშ!.. მე ჩინებულათ მესმის თუ რას ნიშნავს ფრაზა: „კულტურული დაწყებულებანი შესაძლებელია მხოლოდ სრული დამშვიდების შემდეგ“. დიახ, ჩინებულათ მესმის. იცით თქვენ 173 მუხლის მე-17 პარაგრაფის არსებობა?

— რომლისა? უკაცრავათ...

— მე გეუბნებით, იცით თუ არა თქვენ კანონის მე 292 მუხლის მეცხრე პარაგრაფის არსებობა?

— მე... არ ვიცოდი....

— ჰმ, მაგან არ იცოდა 423 მუხლის მესამე პარაგრაფის არსებობა! მაშ რაღა იცით? მე 92 მუხლის 7 პარაგრაფი ამბობს: რომ ბრალდებული და სხვა-და-სხვა. ისჯება და სხვა-და-სხვა.

რედაქტორმა ამოიღო ცხვირსახოცი, დაჯდა იატაკზე და ატირდა...

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ! სადღაც იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში დადიან ქუჩებში ადამიანები და იცინიან, იღიმებიან, ისინი ბედნიერები არიან, იმათ აქვთ პირადი ცხოვრება... მხიარული ბავშვებიც ცელქობენ... დანავარდობენ... თქვენო მაღალკეთილშობილებავ! რა ჩემი ბრალია, რომ მე ნემენცი არა ვარ?

— რა სისულელეა!

რედაქტორმა ხელი ჩაიქნია.

— ეჰ, სულ სხვა მინდოდა მეთქვა... მაგრამ სულ ერთია... ნება მიბოძეთ ვიტირო... ფიქრი ნუ გაქვთ, იატაკს არ გავაფუჭებ. ვილაპარაკოთ როგორც ძმა ძმასთან. ახლა სულ ერთია... აბა მითხარით რა დაგიშავე მე თქვენ? რა საჭიროა პარაგრაფი მეშვიდე, მერვე, მეოცე? აბა შემომხედეთ: განა მე ადამიანი არა ვარ? მეცა მაქვს გული, მაქვს ფილტვები, როგორც ყველა სხვა ადამიანებს რისთვის მილპება ფილტვები, მეხუთება გული, მეკრუნჩხებიან ძვლები?.. თქვენო აღმატებულებავ! აიღე ჩემი თავი, ხელი მოხვიეთ მას, გულში ჩაიხუტეთ და მიეალერსეთ მას... საბრალოვ! საბრალოვ! არ არის შენთვის არც ერთი შუქი იმედისა! არ მოგეპოვება არც ერთი დღე ბედნიერებისა და სიტკბოებისა“. ჩვენი ცრემლები ერთმანეთისას შეუერთდებოდნენ და საიქიოს თქვენს საფლავზე სამი-ოთხი ვაშლი აღმოცენდებოდა მშვენიერი ნაყოფებით. ან თუ გნებავთ ასე მოიქეცით: მე თავს დავდებ იატაკზე და თქვენ თქვენი ჩექმის ქუსლით გაჭეჭყეთ ის, გასრისეთ... ღმერთო, დავიქანცე....!

— რა საჭიროა ჩემთვის, ჩექმის ქუსლით თავი გაგიჭეჭყოთ. მე მიყვარს ლიტერატურა და პატივსა ვსცემ მის წარმომადგენელთ, მაგრამ... ყველაფერი უნდა იყოს კანონიერების ფარგლებში, იმ კანონდებულებათა საფუძველის მიხედვით, რომელნიც... გაძლიერებულ დაცვის... სამი თვის ვადით... ერთი ეროვნებას მეორის წინააღმდეგ ამხედრების. სენატის განმარტებებით...

გენერალმა დიდხანს ილაპარაკა, დაბალისა და ტკბილის ხმით.

მიყუჩებული რედაქტორი, წელში მოხრილი იჯდა მის ფერხთა წინაშე და გაშტერებული თვალებით საწერი სტოლის ქვეშ იცქირებოდა.

ის უკვე მკვდარი იყო.

თომა ოპიხვინი.

ოცნებას.

ოცნებავ, მთისკენ ნუ მიწვევ,
დავეშვათ ისევ ბარათა:
უბირ ქოხთ შორის ქურდულათ
ჩამოვყვეთ ნიავ-ქარათა!
დე წინ აღგვიდგეს წყვდიადი,
ორღობეთ შორის ბნელოდეს,
ღარიბის ქოხის პატრონი
სტუმრათ არავის ელოდეს,
ჩამქრალ კერასთან ეძინოს;
მუნ ცეცხლი აღარ ღვივოდეს,
სიბნელ სიცივეს დაეპყრას,
თოვდეს, გრიგალი სიოდეს,—
ჩვენ მაინც კარზე მივადგეთ
ქოხმახსა გზისა პირშია,
ვნახოთ იმისი პატრონი,
ვკითხოთ, რა გასაჭირშია?
გვეტყვის... ოჰ, რაებს არ გვეტყვის!..
ცოდვა რომ იქნევს ენასა!
ქვეყნის სიავის წისქვილი
ბრუნავს და ახშობს სმენასა.
სიკეთის ურემს კი უჭირს,
ტალახში არი ჩაფლული;
გიშერა იქვე აგდია
ჩლუნგის ნაჯახით დაკლული,
ლომას კი თოკი მოაბეს,
ბელზებელს ძღვნათა მიჰგვარეს...
ესე ამბავი ჭინკებმა
როცა შეიტყვეს, იხარეს:
დაარტყეს გლოვის „ბარაბანს“
გრძნების მდინარის პირათა...
(ავსულებს ქვეყნის სიავე
უხარისთ, ულირთ ძვირათა!..)
კვლავ გვეტყვის... მაგრამ ეჰ, კმარა!
ჩვენ უმისოთაც ვიცოდით,
სოფლის განსაცდლის მნახველნი
სიბრალულითა ვიწოდით.
რა ვუყრთ? ვუთხრათ ნუგეში?
ბელზებელს გაეცინება.
ჩვენ წავალთ, ქოხის პატრონს კვლავ
კერასთან ჩაეძინება!..

ნ. ბომლეთელი.

ჰაეროპლანი.

ვისაც კი ესმის
„ანი“ და „ბანი“,
იცის, თუ რაა
ჰაეროპლანი.
(აი წინაზე,
თფილის ქალაქსა,
დიდუბის ახლო,
დოღის ალაგსა,
ყველა ნახავდა,
ვისაც კი სურდა:
კაცი ჰაერში
როგორ აცურდა.)
ბევრგვარი არის
იმის სისტემა...
ახმეტელოვმაც
კი დაიჩემა:
„მოვიგონეო
ახალი მოდის?!
მაგრამ, ნეტავი,
ვიხილოთ როდის?!)
ზოგს ბევრი ფრთა აქვს,
ზოგს ერთი, ორი
ზოგს მოღუნული,
ზოგიერთს სწორი...
მაგრამ რომელიც
უკეთ დაფრინავს,
დღე და ღამ ფხიზლობს,
თითქმის არ სძინავს,
რომელსაც მიჰყავს
და არ აძრუნებს,
გასტანჯავს მგზავრსა
და ამაბუნებს
რომელიც ქარსა
არ ერიდება,
რეაქციის რა
ახლავს დიდება,
აი ამგვარი
ჰაეროპლანი
გახლავთა ლექსისა
ჩემის საგანი
მას ეწოდება:
„ქართული პრესსა“
(ალბათ გსმენიათ
სახელი ესა!)
უბრალოთ არის
ის მოწყობილი:
ფრთებათ გაზეთის
ქაღალდი რბილი,
საჭეთ პატარა
კალმისა ტარი,
ბენზინის ნაცვლად
მელნისა ღვარი
შესწევს სამიოდ „ჩოჩორის ძალა“,
(ბედაურები
სულ გაეცალა!)
პილოტათ უზის დარაჯი ორი,
მგზავრათ იცით ვინ??
ზის რედაქტორი!..
მაგრამ თუ იგი შემოელია,
(რაც ჩვენში, თურმე
ეგზომ ძნელია,)
მაშინ გააფრენს
თვით თანაშრომლებს
და ქართველ მკითხველს
გვიტოვებს ობლებს.
მიჰყავს და მიჰყავს
განუკითხავად
(გინდ კარგად გრძნობდეს
თავს, გინდა ავად),
რედაქციიდან მეტეხისაკენ,
მეტეხიდან კი რუსეთისაკენ.
და რომ იქ სხვებში
არ გაითქვიფონ,
აი ამაზეც ზრუნავენ თითონ
და თითეულ მგზავრს
დაუზოგველათ
ნომრებს ასვამენ შავათ და გრძელათ:
ზოგს 129-ს,
ზოგს 126-სს
ამით ვათავებ ამ ჟამად ამ ლექსს.

ეშმაკი.

Ა 1582.
1911

საპრემიო კარიკატურა



ცნობილია!

ცნობილია, ქართულ სასცენო ხელოვნებას არა რა სცხია ხელოვნებისა. აგრეთვე ცნობილია, ქართულ თეატრს გულ-გრილათ ეპყრობა საზოგადოება. ზემორე აღნიშნული კარიკატურა გამოხატავს სწორეთ ამ განწყობილებას. ის, (ე. ი. კარიკატურა) ეკუთვნის ცნობილი ქართველი იუმორისტის, ნიკს. ვინაც უტყუარ პასუხს მოგვცემს ქვემორე მოყვანილ კითხვაზე, იმას დაეთმობა ჩვენი.... ლოცვა კურთხევა მთელი წლით.

კითხვა: ვის შესახებ არის დახატული ეს საპრემიო კარიკატურა: 1) ქართველი არტისტების შესახებ, რომელთაც ხელოვნების იმდენი გაეგებათ, რამდენიც „ცხოვრება და ხელოვნების“ რედაქტორს, თუ.

2) ქართველ საზოგადოების შესახებ, რომელიც ამგვარ ხელოვნებას უფრო აფასებს?.

ლია ფერილები
ო. ი. ულინგისა.

1) **პირველი სერია „კავკასიის ტიპები“** დაიბეჭდა მესამეჯერ.

2) მეორე, ახალი სერია მხოლოდ ახლა დაიბეჭდა და იყიდება ა. ი ბიხოვის სამხატვრო ლიტოგრაფიაში (Тифлисъ. Головинскій просп. 34). ვინც ერთად გამოიწერს, აღნიშნულ ფასებზე ბევრი დააკლდება.

რედაქტორ-გამომცემელი **გაიოზ ჯაჯვაძე.**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ესტ. ს. კერესელიძისა, გოლოვინის პროსპექტი, № 42.